

UDC 65

SCOPUS CODE 1404

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-55-65>

აგროსაინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების მუშაობის საერთაშორისო მოდელების პრაქტიკის გაზიარება

თინა გელაშვილი	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: tinikogel@gmail.com	ტექნიკური უნივერსიტეტი,
ნელი მახვილაძე	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: nellym@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,
თეიმურაზ ჩუბინიშვილი	ინსტიტუტი ტექინფორმი, საქართველოს საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: t.chubinishvili@gtu.ge	ტექნიკური უნივერსიტეტი,

რეცენზენტები:

ც. ზარანდია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: tsiskarazarandia@gmail.com

ზ. გასიტაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: zur_gas@gtu.ge

ანოტაცია. ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და სასურსათო პრობლემების გადაჭრის პროცესებში მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში ახალი კვლევების დადგენა-ჩატარება, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა, რაც თავის მხრივ მოითხოვს აგრარული სფეროს ინფორმაციული შემადგენლის განვითარებას. აგროინფორმაციის, როგორც სოფლის მეურნეობის არსებითი წყაროს პოტენციურ მომხმარებლებად მოი-

აზრება როგორც მთავრობა, პოლიტიკის შემქმნელები, გადაწყვეტილების მიმღებები, ასევე მეცნიერები, მენეჯერები, ფერმერები და პედაგოგები, სტუდენტები (Zaman, 2011).

ნაშრომში შესწავლილია განვითარებულ ქვეყნებში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების (ექსტენციის) მუშაობის მოდელები, გამოკვეთილია ფერმერის, საკონსულტაციო სამსახურებისა და მკვლევრების კოორდინირებული მუშაობა, რაც გამოიხატება ინფორმაციის ურთიერთგაცვლით, ფერ-

მერთათვის კვლევის შედეგების გაზიარებით, სიახლეების დანერგვით. აღნიშნულ სამიზნე ჯგუფებში (ფერმერი-ექსტენციონისტი-მკვლევარი) შესწავლილ იქნა საქართველოში არსებული მდგომარეობა. შედეგად გამოიკვეთა ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის ღია, გამჭვირვალე და ეფექტურ თანამშრომლობას, ინფორმაციისა და ცოდნის ურთიერთგაცვლას. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შემოთავაზებულია მოდელი და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის აგროსაინფორმაციო სისტემების გაუმჯობესებას და აგრარული სექტორის ეფექტიან მუშაობას.

საკვანძო სიტყვები: აგროინფორმაცია; ექსტენციონისტი; მკვლევარი; მოდელი; ფერმერი.

შესავალი

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს და მათი არსებობის ეკონომიკური მხარდაჭერის მთავარი წყარო დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე (Ballantyne, 2005). ამასთან დაკავშირებით გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) მიერ არაერთი საერთაშორისო პროექტი და ფინანსური დახმარება ხორციელდება განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის, გარემოსდაცვითი, აგროგანათლებისა და სოფლის თემის მართვის გაუმჯობესების მიზნით. ამ სქემანობის შედეგების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მუშაობის პროცესის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე. მაგალითად სიდარისის დაძლე-

ვისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თემის განვითარებას და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას (Muyepa, 2002). ინფორმაცია ეხმარება მოსახლეობას გაძლიერდეს, დაიცვას საკუთარი ჯანმრთელობა და გარემო, გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რომლითაც სარგებლობს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა და შექმნას საკუთარი მომავალი (Ballantyne, 2005).

ინფორმაციის მიწოდება დაბალხარჯიან აქტივობად განიხილება, თუმცა მისი შედეგები გადამწყვეტ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობისა და სოფლად თემის განვითარებისთვის. ამ საკითხში კი მნიშვნელოვანია ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო სისტემის არსებობა და მისი გამართული და კოორდინირებული მუშაობა.

სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო სისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც „სისტემა, რომელშიც გენერირდება სოფლის მეურნეობის შესახებ ყველა ინფორმაცია და ცოდნის გამოყენების გზით გადაეცემა აგრომეწარმეებს“ (Roling, 1988; Nuray Kizilaslan, 2006). მენინგასის, პერეზისა და სხვათა კვლევების შედეგების თანახმად, ინფორმაცია ფერმერების ხელში ნიშნავს რესურსებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ეფექტურობას და კონტროლის გაძლიერებას. მათი აზრით, აუცილებელი საინფორმაციო და ტექნოლოგიური მომსახურების ეფექტიანი სისტემა ეხმარება კლიენტებს მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ გადაწყვეტილების მიღებაში, გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გადამუშავების, სავაჭრო და მარკეტინგული საქმიანობის თვალსაზრისით (Maningas et al. 2000). სოფლის მეურნეობის

მდგრადი განვითარების მიღწევა უფრო ნაკლებად ეფუძნება მატერიალურ ფაქტორებს (მაგ., თესლი და სასუქი), ვიდრე ადამიანებს, რომლებიც ჩართული არიან მათ გამოყენებაში. ათასწლეულის გამოწვევის მიზნების განხორციელებაში მთავარი მონაწილე ადამიანური რესურსია, რადგან ფოკუსირება ხდება ადამიანურ რესურსებზე, გაზრდილ ცოდნაზე და ინფორმაციის გაზიარებაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესახებ, აგრეთვე შესაბამის საკომუნიკაციო მეთოდოლოგიებზე, არხებზე და ინსტრუმენტებზე.

ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებს ქმნიან კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, კერძო კომპანიები და თავად ფერმერები. თუმცა, ინტეგრაცია ადამიანებსა და ინსტიტუტებს შორის, განსაკუთრებით კვლევის/ცოდნის გავრცელების სამსახურებს/ფერმერებს შორის ურთიერთობაში, არ ყოფილა ერთნაირად წარმატებული განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ინფორმაციის საჭიროების თვალსაზრისით ბაზარზე ორიენტირებულ, გარდამავალ და საარსებო წყაროს მოპოვებაზე დაფუძნებულ ფერმერულ მეურნეობებს შორის. გარდა ამისა, ბოლო გამოცდილება აჩვენებს, რომ სისტემის ადამიანური კომპონენტები, როგორცაა მკვლევრები, განათლების, ცოდნის გავრცელების სამსახურების მუშაკები და ფერმერები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მიზანი. განვითარებულ ქვეყნებში აგროსაინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მუშაობის მოდელების შესწავლა და საქართველოში

მოქმედ ამავე სტრუქტურის მუშაობის მოდელთან შედარება.

კვლევის მეთოდი. კვლევისათვის გამოყენებული იყო სამაგიდო კვლევა, ინტერვიუს (ღია და დახურული კითხვარი), ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ანალიზი. მსოფლიო პრაქტიკაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის არსებობს ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სხვადასხვა მოდელი. თითოეული მოდელი დანერგვისა და განვითარებისთვის საჭიროებს შესაბამის პირობებს: ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკას, ისტორიულ საფუძვლებს, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და ტრადიციულ ასპექტებს, რომელთა სწორი გაანალიზებით შესაძლებელია ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მოდელის სწორად შერჩევა (ზარამიძე, მ. 2018).

ექსტენციის სერვისების მუშაობის საერთაშორისო გამოცდილება და მათი ეფექტური მუშაობის მოდელები მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია საქართველოს რეალობასთან ახლოს მყოფი, რამდენიმე ქვეყნის ექსტენციის მუშაობის მოდელი:

შვეიცარიის ექსტენციის სისტემა ეფუძნება AKIS (Agricultural Knowledge and Information Systems for Rural Development) მოდელს, სადაც განსაზღვრულია, რომ ფერმერს ინფორმაცია მიეწოდება კვლევითი ინსტიტუტების, სასწავლო და ექსტენციის ცენტრების აქტიური თანამშრომლობით. სისტემაში ჩართულები არიან ეკონომიკისა და განათლების სამინისტროები, დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტები და სხვ. შვეიცარიის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრი AGRIDEA უმეტე-

სად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ამასთან ერთად მონაწილეობს სასწავლო მასალის შემუშავებაში, ამ უკანასკნელს პროფესიული სასწავლებლები იყენებენ როგორც სასწავლო მასალას ექსტენციონისტიკისათვის.

აშშ. დღეისთვის, სოფლის მეურნეობის ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი ქვეყნის ყველა შტატის 74 უნივერსიტეტის, სოფლის მეურნეობის 130 კოლეჯისა და 59 საცდელი სადგურის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შედის. მათ აქვთ ცენტრალური ოფისი და ფილიალები ყველა შტატში. სახელმწიფო ექსტენციის სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაცია არის უფასო. სამსახურების დაფინანსება ძირითადად სამ წყაროზეა დაფუძნებული: ფედერალური (35%), შტატის (55%) და საგრაფოს დაფინანსება (9%), ხოლო 1% მოდის კერძო ინვესტორების ხარჯზე. ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში ჩართულია უნივერსიტეტების 275 პროფესორი და ამდენივე ექსტენციის კონსულტანტი.

ჰოლანდია. ჰოლანდიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესახებ. დაიწყო სოფლის მეურნეობის ცოდნის სისტემის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იყო **სამეცნიერო კვლევები, ფერმერთა კვალიფიკაციის გაზრდა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა.** ეს სამი კომპონენტი არის ჰოლანდიის სოფლის მეურნეობის მოდელის საფუძველი. იგი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ეფექტიანი მოდელი მსოფლიოში. ამ სისტემის მეშვეობით, ჰოლანდიელ ფერმერებს ინოვაცია უფრო სწრაფად მიეწოდებათ, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ისრაელი. ისრაელში ფერმერები ეყრდნობიან კვლევასა და ექსტენციას, რათა გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, ეფექტურობა, პროდუქტიულობა, მომგებიანობა და გაზარდონ წვლილი მათი სარსებო წყაროს სასარგებლოდ. მკვლევრები და ექსტენციონისტები ფერმერებთან მათ თანამშრომლობას მნიშვნელოვან საქმიანობად აფასებენ, რაც ხელს უწყობს აგრარულ სფეროში ახალი ტექნოლოგიის გავრცელებას და ეფექტურ უკუკავშირს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი ამ სამრგოლთან მაინც სუსტია და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის სერიოზული გამოწვევაა. ფერმერთა სახელმწიფო საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის გარდა არსებობს ასევე, კომერციული საკონსულტაციო სამსახურები და ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვა სისტემები.

საქართველო. საქართველოში რამდენიმე წელია ჩამოყალიბებულია ფერმერთა ფართო პროფილის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები (ექსტენციები), რომელთა ძირითადი ფუნქცია ფერმერებს შორის ცოდნის გავრცელებაა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მათ არ გააჩნიათ მეურნეობის ეფექტური წარმართვისათვის აუცილებელი გამოცდილება. ფერმერებს, რომლებიც ცხოვრობენ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებისგან მოშორებით, ხელი არ მიუწვდებოდათ სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე ცვლილებებსა და ტექნოლოგიურ სიახლეებზე. ამასთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა საქართველოში ფერმერის, ექსტენციონისტისა და ინოვაციების შემქმნელთა (მეცნიერი, მკვლევარი, ინოვატორი) შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთ-თანამშრომლობის ხარისხის დასადგენად.

კვლევისთვის მომზადდა ღია და დახურული კითხვარები (google drive-ის გამოყენებით). კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით სამი განსხვავებული სამიზნე ჯგუფისთვის და გათვლილი იყო 150 რესპონდენტზე – ფერმერი – 50; ექსტენციონისტი - 50 და მეცნიერი – 50.

კვლევის შედეგები

აგრარული მიმართულების მკვლევრების 50 რესპონდენტიდან მონაწილეობა მიიღო 46-მა. მათი უმრავლესობა (52%) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმოადგენენ აგრარული მიმართულების აკადემიურ პერსონალს და მკვლევარს, 19.6% დასაქმებულია კვლევით დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენი - 28.4% წარმოადგენილია კოლეჯისა და პროფესიული სასწავლებლის, ა/ორგანიზაციებში პრაქტიკოს-პედაგოგების სახით.

გამოკითხული მკვლევრები წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს და ქვედარგს (მცენარეთა დაცვის, ეკონომიკის, აგრონომიის, ვეტერინარიის, მექანიზაციის, სურსათის უვნებლობის, ბიოტექნოლოგიების, გენეტიკის, მიწის რესურსების და სხვ.).

საინტერესო იყო მათი პასუხები კითხვაზე (Q:3): თანამშრომლობთ თუ არა ექსტენციის/საკონსულტაციო სამსახურებთან და აგრომეწარმებთან (ფერმერები, კოოპერატივები, ...), 46 რესპონდენტის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 41,3% აქვს როგორც ექსტენციასთან, ისე კოოპერატივებთან თანამშრომლობის გამოცდილება, ხოლო დაახლოებით 58.7% არ, ან ვერ თანამშრომლობს მათთან.


აღსანიშნავია, რომ კითხვაზე, თუ საიდან იღებენ მკვლევრები მათთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციას, გამოკითხულთა 34,8% (N:17) იყენებს

საბიბლიოთეკო სერვისებს, ხოლო 41,3% (N:20) მედია საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ასევე, საგულისხმოა, რომ მკვლევართა 45,7%-ისთვისაა ცნობილი და გამოყენებადი თეზაურუს AGROVOC-ის ტერმინები, ხოლო დანარჩენებისთვის ცნობილი არაა, ან არ დასჭირვებია ტერმინის დაზუსტება იმ ფონზე, როდესაც მკვლევართა 30,4% საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და მაღალრეიტინგულ გამოცემებში ბეჭდავენ ნაშრომებს. გამოკითხულ მკვლევართა 50% მზადაა ნებისმიერი სახით მიიღოს მათთვის საჭირო ინფორმაცია, ხოლო ნახევარი უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის მოძიებას სოციალური მედიიდან და პირადი კონტაქტებიდან. საინტერესოა მკვლევართა აზრი ინოვაციების გასაცნობად და მათთვის სასურველი ინფორმაციის მისაღებად თუ რომელ აქტივობას მიანიჭებდნენ უპირატესობას. გამოკითხულთა 77,1%-ს აქვს ვორკშოპებსა და სემინარებში, ასევე საჯარო ლექციებსა და ვებინარებზე მონაწილეობის სურვილი, ხოლო 19,6% უპირატესობას ანიჭებს პრაქტიკოსებთან მუშაობას. მკვლევართა უმრავლესობა – 60%-ზე მეტი განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას მათთვის სასურველ ენაზე და ასევე, მზად არიან ნებისმიერი სახით მიიღონ იგი.

რაც შეეხება აგრომეწარმეთა პასუხს კითხვაზე: ინფორმაციის წყაროს შესახებ, თუ საიდან ღებულობენ საჭირო ინფორმაციას (Q:3), კვლევაში მონაწილე 51 მეწარმიდან ნახევარზე მეტი (52.9%) ინფორმაციას იღებს ტელევიზიით და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებიდან. მხოლოდ 13,7%-ს აქვს კომუნიკაცია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან (იხ. დიაგრამა).

თქვენთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციის მისაღებად რომელ საინფორმაციო წყაროებს იყენებთ:

51 responses



მეწარმეთა დიდი უმრავლესობა ინფორმაციას საკუთარი ძალებით მოიპოვებს და იშვიათად თანამშრომლობს აგროკონსულტანტებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მეწარმეთა უმრავლესობას ინფორმაციის მიღება ურჩევნია ბეჭდური ან ელექტრონული სახით, ხოლო 17% – პირადი კონტაქტებით, მეგობრებისა და კოლეგებისაგან მიღებულ ინფორმაციას ანიჭებს უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 46,7%-ს აქვს ინტერნეტი.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეწარმეთა პასუხი კითხვაზე: ისურვებდნენ თუ არა ინოვაციების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დასწრებას ტრენინგებსა და ვორკშოპებზე, საჯარო ლექციებსა და ვებინარებზე. მათი უმრავლესობა სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას მსგავს აქტივობებში. მათთვის მნიშვნელოვანია აგროინფორმაციის მიღება ტექნიკის, ტექნოლოგიისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ახალი მეთოდოლოგიის შესახებ. გამოკითხულთა 21,6% ენდობა მეგობრებისა და ახლობლების გამოცდილებას და რეკომენდაციებს, ხოლო 29,4% და 21,6% შესაბამისად, სახელმწიფო

და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციას ანიჭებენ უპირატესობას. ასევე, კითხვაზე (Q:9), მზად არიან თუ არა გაავრცელონ ან გაუზიარონ ინფორმაცია სხვა ფერმერებს, გამოკითხულთა მხოლოდ 11,8%-მა გამოხატა უპირობო მზაობა, ხოლო მათი უმრავლესობა – 62,7% შეეცდებოდა გაუზიაროს ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს. ფერმერთა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სამეურნეო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ ვისგან იღებენ რჩევებს, ძალიან მცირე ნაწილი ანიჭებს უპირატესობას დარგის მკვლევრებისა და აგროკონსულტანტის კონსულტაციებს შესაბამისად, 17,6% და 9,8%, ხოლო მათი უმრავლესობა (54,9%) კვლავ უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებას და დანერგვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფერმერები და აგრომეწარმეები ინფორმაციის მოძიებასა და მის პრაქტიკაში დანერგვას საკუთარი ძალებით ცდილობენ და პროფესიონალ-კონსულტანტებთან სუსტი კავშირები აქვთ.

კვლევაში ჩართულ მესამე სამიზნე ჯგუფში, ექსტენციისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებმა (42), რომლებიც განეკუთვნებოდნენ როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგის პროფესიონალებს, კითხვაზე (Q:3), თუ რა სახის სერვისებს აწვდიდნენ ფერმერებს და უწევდნენ კონსულტაციებს, ძირითადად დაასახელეს სამი ძირითადი მიმართულება: მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე უხვმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული ჯიშების დანერგვასთან დაკავშირებით კონსულტაციები.


კვლევამ აჩვენა, რომ თვით ექსტენციონისტები და კონსულტანტებიც ახალი ცოდნის მისაღებად

ძირითადად იყენებენ მედია საშუალებებს ან ზემდგომი ორგანიზაციიდან (სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტრო) მიღებულ ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც მათივე გამოკითხვით, გადასცემენ ფერმერებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერთა მხოლოდ 24.9% იღებს კონსულტაციას სისტემატურად, 28.8% სეზონურად, ხოლო დანარჩენი აღნიშნავს, რომ არასდროს ან იშვიათად აკითხავენ საკონსულტაციო სამსახურებს.

კითხვაზე (Q:6), თუ რა სახის სერვისებს სთავაზობენ ფერმერებს – 35,7% ინდივიდუალურად უტარებს კონსულტაციებს, ხოლო სხვა დანარჩენი სახის სერვისებზე წარმოდგენას გვამღვეს დიაგრამა.

რა სახის სერვისებს სთავაზობთ რეგიონის ფერმერებს/კოოპერატივებს/დარგით და-ინტერესებულ მოსახლეობას:

42 responses



ასევე, მათივე გამოკითხვიდან ირკვევა, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი თანამშრომლობს, ხოლო 25%-ს საერთოდ არ აქვს კონტაქტი სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. თუმცა, თეორიულად კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რა ცოდნას და უნარებს უნდა ფლობდეს ექსტენციონისტი/ კონსულტანტი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე შემოთავაზებულია შემდეგი დასკვნები:

- სამივე სამიზნე ჯგუფში (ფერმერი-აგრომეწარმე; ექსტენციონისტი-აგროკონსულტანტი; მეცნიერი მკვლევარი) სუსტია ურთიერთთანამშრომ-

ლობის ხარისხი; ინფორმაციის გაცვლა ძირითადად ინდივიდუალურ ძალისხმევაზეა დამოკიდებული;

➤ მცირეა ფერმერთა მიმართვიანობა (გეოგრაფიული დაშორება, კითხვებზე კვალიფიციური პასუხების ნაკლები სანდოობა) საკონსულტაციო სამსახურებთან და ძირითადად მიდიან მაშინ, როდესაც ტრენინგი და კონსულტაცია რომელიმე საერთაშორისო ფონდის მიერ არის დაფინანსებული, ან განხორციელებული;

➤ მკვლევართა და კონსულტანტთა უმრავლესობა არ იცნობს FAO-ს საინფორმაციო სერვისებს, საინფორმაციო ბაზებს და ინფორმაციის ძირითად წყაროდ სოციალურ ქსელებს, მედიას და ზემდგომის რეკომენდაციებს ეყრდნობიან;

➤ ფერმერთა უმრავლესობას არ აქვს წვდომა კომპიუტერსა და ინტერნეტზე და საკონტაქტოდ ახლობლის ელექტრონული ფოსტა აქვს მითითებული, თუმცა ზემდგომი ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციას ეცნობიან ტელეფონებით (SMS);

➤ კვლევაში არსად არ გამოკვეთილა სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მიღებული კვლევის შედეგების გავრცელება ფერმერებისთვის;

➤ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად არაერთი ტრენინგისა და ვორკშოპისა, მაინც დაბალია როგორც ფერმერთა, ისე კონსულტანტთა კვალიფიკაცია;

➤ ექსტენციის უმეტეს სამსახურს არ აქვს სადემონსტრაციო ნაკვეთი და ფერმა, სადაც თანამშრომლებენ მკვლევრები და კვლევის შედეგებს გაუზიარებენ აგრომეწარმეებს. კონსულტაციები ძირითადად ეყრდნობა ზემდგომი ორგანიზაციებიდან მიღებულ რეკომენდაციებს ან საინფორმაციო ბუკლეტებს ურიგებენ ფერმერებს, რომელთაც

სოფლის განვითარების სააგენტო ან დონორი ორგანიზაციები ბეჭდავენ.

კვლევის პროცესში სამიზნე სუბიექტებში ბევრი სხვა პრობლემა გამოიკვეთა, თუმცა კვლევის მიზანი ინფორმაციული უზრუნველყოფაა და არა სხვა პრობლემებზე მსჯელობა. აქედან გამომდინარე, გაკეთებული დასკვნა ეხება სამიზნე ჯგუფებში ინფორმაციის მიღების ინტენსიურობას, ურთიერთ-თანამშრომლობას და მიღებული ინფორმაციის გაცვლას.

რეკომენდაციები: ზემოაღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია:

➤ საქართველოში შეიქმნას „**მკვლევარი-კონსულტანტი-ფერმერი**“ ურთიერთ-თანამშრომლობის პლატფორმა; აღნიშნულ სუბიექტებში („სამკუთხედი“) ინფორმაციის გაცვლა და შედეგების გაზიარება მოხდეს შესაბამისი პლატფორმის გამოყენებით;

➤ პოლიტიკის დონეზე დაევალოს უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი დაწესებულებების აკადემიურ პერსონალს, მკვლევრებს, მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები, თეზისები, კვლევები, აგროინოვაციები, როგორც ქართულ, ისე უცხოურ გამოცემებში აისახოს სტუ-ის ინსტიტუტ ტექნიკის ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ) ქართულ და ინგლისურ ენებზე. განთავსდება „პლატფორმაზე“;

➤ უნივერსიტეტებმა, აგრარული სექტორით ახალგაზრდების დაინტერესების მიზნით, იქ სადაც ამის შესაძლებლობა და საჭიროებაა, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ერთად შესაძლოა ჩამოაყალიბონ ახალი სტრუქტურა აგროინფორმაციის და კვლევის შედეგების გასავრცე-

ლებლად, რომელსაც დაევალება უზრუნველყოს ინფორმაციის განთავსება ონლაინპლატფორმაზე: „მკვლევარი-კონსულტანტი-ფერმერი“.

➤ **ონლაინპლატფორმის, (მკვლევარი-კონსულტანტი-ფერმერი)** შექმნის, ფუნქციონირებისა და ინფორმაციის გაზიარების ვალდებულებაზე კონტროლი დაეკისროს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ან სოფლის განვითარების სააგენტოს ანუ მისი ფუნქციონირება აყვანილი უნდა იქნეს პოლიტიკის დონეზე.

საბოლოო ჯამში, შემოთავაზებული წინადადება, რომელიც ეხება ზემოაღნიშნული „სამკუთხედის“ (მკვლევარი-კონსულტანტი-ფერმერი) ურთიერთთანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას, ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში ინოვაციების დანერგვას, ფერმერთა და აგროკონსულტანტთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და მეცნიერთა პოპულარიზაციას, რომელიც სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უპირობო გარანტიაა.

ლიტერატურა

1. Ballantyne, P. (2005). Accessing and Managing Agricultural Information. International Network for The Availability of Scientific Publications (INASP). Newsletter, 28.;
2. Zaman, M.A. (2011). Present status of agricultural information technology systems and services in Bangladesh.;
3. Kizilaslan, N. (2006). Agricultural Information Systems: A National Case Study. *Library Review* 55(8), 497-507.;
4. Roling, N. (1988). *Extension Science: Information Systems in Agricultural Development*. NY: Cambridge University Press.;
5. Ozcatalbas, O., Boz, I., et.al. (2011). Developing participatory extension applications in Turkey. *African Journal of Agricultural Research*, 6(2), 407-415.;
6. Abraham, B., Michel, I. (1990). Adaptation of the Training and Visit Extension System to Changing Socio-Cultural and Agro-Ecological Conditions. *Journal of Extension Systems*, 6(1), 45-66.;
7. Maningas, R.V., Perez, V.O., Macaraig, A.J., Alesna, W.T., Villagonzalo, J. (2000). *Electronic Information Dissemination Through the Farmers' Information and Technology Services (FITS)/Techno Pinoy Program: Bringing Information and Technology within the Reach of the Farmers*. ResearchGate: <https://t.ly/2wGMI>;
8. MASHAV, CINADCO, (2015). *International course on: The Integration between Research, Extension and Applied Agriculture.*;
9. Blum, A. (2010). *The Role and Function of Agricultural Extension.*;
10. Carin, M. (2013). *The world of Agricultural Economics*. London: Routledge.;
11. Williams, S., Karen, R. (2018). *Agribusiness and the Small-Scale Farmer. A Dynamic Partnership for Development*. London: Routledge.;
12. Abernethy, V.D., Kaldor, N. (2005). *The Conditions of Agricultural Growth. The Economics of Agrarian Change under Population Pressure*. USA and London: Aldine Transaction.;
13. Kizilaslan, N. (2006). *Agricultural information systems: a national case study*. Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/235280866_Agricultural_information_systems_A_national_case_study
14. Ballantyne, P. (2005). Accessing and managing agricultural information. *International Network for The Availability of Scientific Publications (INASP) Newsletter*, 28.;
15. Ehlers, A., Frick, A. (2000). An analysis of the agricultural information system in South Africa with specific reference to the Western Cape province. *Elsenburg Journal*, pp. 29–32.;
16. Suvedi, M., Kaplowitz, M., MEAS Project. (2016). *What every extension worker should know – Core competency handbook.*;

17. Norton, G.W., Alwang, J., Masters, W.A. (2021). *Economics of Agricultural Development, World Food Systems and Resource Use.*;
18. Baramidze, M. (2018). *Extension and Innovation.* (In Georgian);
19. Makhviladze, N., Gelashvili, T. (2022). *Scientific-research Activity Report.* Tbilisi: Institute Techinformi. (In Georgian);
20. Just, D.R., Wolf, S.A., Wu, S. and Zilberman, D. (2002). Consumption of economic information in agriculture. *American Journal of Agricultural Economics*, 84(1), pp. 39–52.;
21. Kloppenburg, J. Jr (1991). Social theory and the de/reconstruction of agricultural science: local knowledge for an alternative agriculture. *Rural Sociology*, 56(4), pp. 519–48.;
22. Kumuk, T. (1993). A critical view to the implementation of training and visit extension in Turkey. *Ege Universitesi Ziraat Fakultesi Dergisi*, 30(3), pp. 207–214.;
23. Maru, A. (2002). *A normative model for agricultural research information systems.*The Hague: International Service for National Agricultural Research.;
24. McCorkle, C.M. (1989). Toward a knowledge of local knowledge and its importance for agricultural RD&E. *Agriculture and Human Values*, 6(3), pp. 4–12.;
25. McCue, J., Craycraft, C., Dunham, T., Fretz, T., McGeachin, R., Wilson, P. and Young, E. (2005). *Leadership Council for Agricultural Information and Outreach. Subcommittee on Content “Stocking the Shelves”.*;
26. Roche, J. (2020). *Agribusiness: An International Perspective.* USA and London: Routledge.;
27. Sulaiman, R., Davis, Ch. (2012). *GFRAS: Global Forum for Rural Advisory Services “The New Extensionist”: Strategy, Functions and Opportunities to Strengthen Extension and Advisory Services Global Forum for Rural and Agricultural Advisory Services.*

UDC 65

SCOPUS CODE 1404

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-55-65>

Sharing the Practices of International Models of Work of Agro-information and Consulting Centers

- Tina Gelashvili** Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str.
E-mail: tinikogel@gmail.com
- Nelly Makhviladze** Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str.
E-mail: nellym@gtu.ge
- Teimuraz Chubinishvili** Institute Techninformi, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava Str.
E-mail: t.chubinishvili@gtu.ge

Reviewers:

Ts. Zarandia, Professor, Faculty of Business Administration, Samtskhe Javakheti State University

E-mail: tsiskarazarandia@gmail.com

Z. Gasitashvili, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: zur_gas@gtu.ge

Abstract. The 21st century is characterized by the development of new research innovations and technologies in agriculture which is ultimately aimed at overcoming the poverty of the world population and solving the food problem. Agricultural information plays a major role in overcoming this problem which is considered as an essential source of agriculture where the government, policymakers, decision-makers, researchers, teachers, students, scientists, managers, and farmers are the potential users (Zaman, 2002). The work deals with the study of the models of information-consulting centers in developed countries. It highlights the coordinated work of farmers, consulting services, and researchers which is shown by their mutual cooperation, sharing of research results with farmers, introduction of innovation, and a unified vision. In the above target groups (farmer-extensionist-scientist-researcher), we studied the current situation in Georgia, as a result of which gaps were identified, which prevents open, transparent, and effective cooperation between them, and mutual exchange of information and knowledge. Based on international experiences, we have proposed a model and recommendations that will contribute to the improvement of the country's agro-information systems and the effective work of the agricultural sector.

Keywords: agro-information; extensionist; farmer; model; researcher.

განხილვის თარიღი 30.10.2023

შემოსვლის თარიღი 30.10.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.2023